საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/141

ქ. ბათუმი 29 ოქტომბერი, 2018წ.

ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოში 2018 წლის მორიგი არჩევნებისათვის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა ასარჩევი რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 და 25-ე მუხლების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 13-14 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად ახალარჩეული წევრების უფლებამოსილების ცნობის თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 25 ნოემბრის №01 გადაწყვეტილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაციის თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის №1 გადაწყვეტილების, ,,2018-2019 სასწავლო წლიდან ბსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 აგვისტოს N01-08/104 ბრძანების და იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს და ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 24 სექტემბრის სხდომის ოქმების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოში 2018 წლის მორიგი არჩევნებისათვის განისაზღვროს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა ასარჩევი რაოდენობა შემდეგნაირად:

   ა) ფაკულტეტიდან, რომელშიც აკადემიური პერსონალის რაოდენობა **არ აღემატება** 30 პირს და სტუდენტთა რაოდენობა - 1000 სტუდენტს - არჩეული იქნეს 1 აკადემიური თანამდებობის პირი და 1 სტუდენტი;

   ბ) ფაკულტეტიდან, რომელშიც აკადემიური პერსონალის რაოდენობა **აღემატება** 30 პირს და სტუდენტთა რაოდენობა - 1000 სტუდენტს - არჩეული იქნეს 2 აკადემიური თანამდებობის პირი და 2 სტუდენტი.

2. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს და სტუდენტთა თვიმმართველობას.

3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ფაკულტეტების/კანცელარიის საინფორმაციო დაფებზე, სტუდენტთათვის და პერსონალისათვის საჯარო გამოცხადების მიზნით.

4. ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს 2018 წლის მორიგი არჩევნების გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება მომზადდეს წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით.

5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.

6. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმის ს: ზუბალაშვილის ქ №30).

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ.ხალვაში**